11/09/2025

MES 9 25 0001115504

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 27 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არაშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ზაირა ბერიძე;
საბა მოდებაძე;
ვერიკო ჭიღლაძე;
მაია გრიგალაშვილი;
დავით კუპატაძე;
გიული გურგენიძე;
ქეთევან გელაშვილი;
იამზე ნოზაძე;
მანანა ბერიძე.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
დირექტორის მ.შ. - ნოდარ ხარაზიშვილი
დირექტორის მოადგილე - მაია ომიაძე

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
თეიმურაზ ასათიანი - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ნანა ბატიაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი
მარიამ ჯოჯიშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ცენტრის ხელმძღვანელი - გიორგი ოკრიბელაშვილი
ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა შარაბიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული

შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის" „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ტყავის ნაკეთობათა წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "საავტომობილო გზების მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგში ცვლილების განხორციელების შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია გაპარული ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-8 საკითხის, N1030617 გადაწყვეტილებაში, „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების. მან მიმართა საბჭოს თხოვნით აღნიშნული საკითხი განხილულიყო სხდომის ბოლოს, რის თაობაზეც მომზადებულია სამსახურებრივი ბარათი.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნული მიიღო ცნობად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში ტექნიკური უზუსტობის გასწორების თაობაზე, საკითხი ეხებოდა კოლეჯის საიდენტიფიკაციო კოდის დაზუსტებას, გადაწყვეტილებაში, ნაცვლად კოლეჯის საიდენტიფიკაციო კოდისა ს/კ:242728679, მითითებულია ს/კ:24272879, ცენტრი აყენებს შუამდგომლობას საბჭოს წინაშე ამ უზუსტობის გასწორების თაობაზე, რამდენადაც ამ უზუსტობამ გამოიწვია კოლეჯის ავტორიზაციის გადაწყვეტილების ატვირთვის შეფერხება განათლების მართვის საინფორმაციო რეესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში ტექნიკური უზუსტობის (კოლეჯის საიდენტიფიკაციო კოდის) გასწორების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:

განახლებული დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის" „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ტყავის ნაკეთობათა წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "საავტომობილო გზების მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის" „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 11/07/2025 N858793 ბრძანების საფუძველზე, მ/წ 23 ივლის, სსიპ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, მისამართზე ქ. თბილისი, ი.ვეკუას ქ. N44, ეწვია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.2 - სასურველია რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი ადამიანური რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ განხორციელება კოლეჯის მიერ დაგეგმილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, დუალური მიდგომით. აღნიშნული მოდელის ფარგლებში სწავლის შედეგების ნაწილი მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, ნაწილი კი — პარტნიორი სასწავლო საწარმოების რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის იმ მოდულების განსახორციელებლად, რომლებიც უნდა განხორციელდეს სასწავლო დაწესებულების ბაზაზე, კოლეჯს გააჩნია A/B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამისთვის აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა გათვლილია 5 პროფესიულ სტუდენტზე, არსებული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და შეფასებულია, როგორც საკმარისი და მიზანშეწონილი შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად. დუალური სწავლების მოდელის შესაბამისად, პროგრამის სრული კრედიტების 60.9% ხორციელდება საწარმოთა ბაზაზე. აღნიშნული პროცესი განხორციელდება ორი პარტნიორი სასწავლო საწარმოს — შპს „მეს ჯორჯია“ და შპს „თბილ სახლი“ — ჩართულობით. ორივე ორგანიზაციას მინიჭებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი, რაც დადასტურებულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაცემული ბრძანებით. სტატუსის მინიჭება ეფუძნება საქართველოს მთავრობის №451 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასების პროცესს ახორციელებს სააგენტოს მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილნი არიან როგორც დარგის, ასევე განათლების სფეროს ექსპერტები. სამუშაო ჯგუფი სწავლობს საწარმოს მიერ www.skills.emis.ge პორტალის მეშვეობით წარდგენილ დოკუმენტაციას და ამზადებს შესაბამის შეფასების დოკუმენტს. შეფასების შედეგები წარედგინება კომისიას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საწარმოსთვის სტატუსის მინიჭების შესახებ. აღნიშნული პროცედურის შედეგად დადასტურდა ორივე საწარმოს მზაობა პროგრამის განხორციელებისთვის — როგორც ადამიანური რესურსის, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში, კომპანიების ჩართულობა ორგანიზებულია კონსორციუმის პრინციპით, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების განაწილებას შემდეგნაირად: შპს „მეს ჯორჯია“ უზრუნველყოფს პროგრამის ძირითადი პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას; შპს „თბილ სახლი“ ჩართულია შემდეგი მოდულების განხორციელებაში: ა) ჰაერის კონდიცირების, სამაცივრო და თბური ტუმბოს სისტემების მონტაჟი და ბ) ჰაერის კონდიცირების, სამაცივრო და თბური ტუმბოს სისტემების გაშვება-გამართვა ექსპლუატაცია და დემონტაჟი. აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევას და მათი მიღწევის პროცესში სასაწავლო საწარმოების აქტიურ ჩართულობას რეალური სამუშაო გარემოში ინტეგრირების მიზნით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 (ორი) პროფესიული

მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით კვირაში არ აღემატება 40 საათს. აქვე, აღსანიშნავია რომ სასწავლო საწარმოს სტატუსის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებს ყავთ შესაბამისის პირები შერჩეული, ვინც სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვას, შეფასებასა და სტუდენტის განვითარების პროცესებს უზრუნველყოფს საწარმოში სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული კომპანიების ინსტრუქტორების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ მოდულების განხორციელებაში დარგის მასწავლებლებთან ერთად. თუმცა, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია კომპანიის მიერ შერჩეული ადამიანური რესურსი განიხილებოდეს მხოლოდ როგორც საწარმოს ბაზაზე მოქმედი ინსტრუქტორი და არა როგორც კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ როგორ ნაწილდებიან სტუდენტები ორ პარტნიორ საწარმოში, როცა კოლეჯს მხოლოდ 5 პროფესიული სტუდენტის კვოტა აქვს მოთხოვნილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ორივე საწარმო ერთვება სასწავლო პროცესში, აღნიშნული 5 პროფესიული სტუდენტი ორივე პარტნიორ კომპანიაში გადის სწავლების პროცესს, 2 მოდული ერთ კომპანიაშია გატანილი, დანარჩენი მოდულები - მეორე კომპანიის ბაზაზე. ამ ორ კომპანიას კონსორციუმის სახით აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი მოპოვებული, ეს პირველი შემთხვევაა, როცა კონსორციუმის სახით არიან კომპანიები ჩართული სასწავლო პროცესში.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა განმავითარებელი რეკომენდაციითაც, რომელიც გაცემული იყო 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში, კერძოდ, სასურველია რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი ადამიანური რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში, რაზეც ექსპერტმა დამატებითი განმარტება გააკეთა.

სასწავლო საწარმოს სტატუსთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება ცენტრის წარმომადგენელმაც გააკეთა, მან აღნიშნა, რომ კონსორციუმის სახით პარტნიორი კომპანია

პირველად შემოდის სისტემაში დუალური პროგრამის განხორციელებისას, ექსპერტებმა ამ ეტაპზე მზაობა შეამოწმეს, თუმცა, უფრო საინტერესო იქნება პროცესის მიმდინარეობა, შევეცდებით, სამომავლოდ პროცესის თაობაზე ინფორმაციაც მოგაწოდოთ, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, ამ პროგრამას ახორციელებდა თუ არა კოლეჯი, იყვნენ თუ არა მსურველები, ასეთი მცირე კვოტა რატომ აქვს კოლეჯს არჩეული.

ექსპერტმა განმარტა, რომ ეს პროგრამა ახალია, ეფუძნება ახალ საგანმანათლებლო სტანდარტს, კოლეჯის არგუმენტი იყო, რომ პირველ ეტაპზე სიფრთხილით ეკიდებიან განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნარების სააგენტოსთან და დონორ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობდნენ ახალ საგანმანათლებლო სტანდარტზე, რომელიც ამ პროგრამას დაედო საფუძვლად, რამდენადაც პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მსურველი მეტი კომპანია ვერ შეირჩა, ავიღეთ ის კვოტა, რის საშუალებასაც იძლეოდნენ სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე კომპანიები, მომავალში შეიძლება კიდევ გამოჩნდნენ პარტნიორი კომპანიები, ვისაც ექნება მზაობა, მოიპოვოს სასწავლო საწარმოს სტატუსი და ვიზრუნებთ კვოტის გაზრდაზე, რადგანაც მართლაც დიდია შრომის ბაზარზე ამ სპეციალისტებზე მოთხოვნა, აღნიშნა კოლეჯის წარმომადგენელმა, გვინდა მოკლევადიანი პროგრამებიც შევთავაზოთ შრომის ბაზარს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად რეალისტურადაა განაწილებული სწავლის შედეგები კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს შორის.

ექსპერტმა განმარტა, რომ მაქსიმალურად ოპტიმალურადაა განაწილებული სწავლის შედეგები, დაცულია მთავრობის დადგენილებით დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული თანაფარდობა. თეორიული სწავლის შედეგები, რომელიც კოლეჯში ხორციელდება, საკმარის საფუძველს იძლევა, რომ ის პრაქტიკული სწავლის შედეგები, რაც კომპანიებშია გატანილი, წარმატებით მიიღწეოდეს. მისი თქმით, საინტერესო იქნება პროცესის შეფასებაც, დაკვირვება პროცესზე უნარების სააგენტოს მხრიდანაც განხორციელდება, აღნიშნა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განმავითარებელი რეკომენდაციითაც, ხომ არ იყო ეს რეკომენდაცია ბმაში სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის შემოწმების საკითხთან, კერძოდ, კოლეჯს თავის რეგულაციაში უწერია, რომ ჟურნალს ამოწმებს კოლეჯის მასწავლებელი, მაშინ როცა მთავრობის დადგენილება ამბობს, რომ ჟურნალი უნდა მოწმდებოდეს საწარმოს ინსტრუქტორის მიერ. აღნიშნული ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ზოგიერთი ნორმა, რაც აისახა მთავრობის დადგენილების ცვლილებაში, დაწესებულებას არ ჰქონდა რეგულაციაში ასახული.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება რეავტორიზაციის პროცესშია და ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული დოკუმენტების განახლების ეტაპზე იყვნენ. მისი თქმით, დოკუმენტაცია იქნება განახლებული და ვიზიტის დროს გამოჩნდა, რომ ამ კუთხით კოლეჯს უკვე აქვს ცვლილებების განხორციელება დაწყებული.

საბჭოს წევრის, ნათია ბუთხუზის, კითხვა ეხებოდა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს, რომლის მიხედვითაც 3 სტუდენტი იყო რენტაბელობის ზღვარი.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მოდულების განფასება არ იყო დასრულებული, ამდენად საპროგნოზო ბიუჯეტი სრულად არ ჰქონდა გაწერილი კოლეჯს, რაც დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.

რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების ნიმუში შეფასდა ჯერ კიდევ სასწავლო საწარმოს სტატუსის მინიჭების ეტაპზე, ასე, რომ კოლეჯს აქვს ეს ხელშეკრულება. წარმოდგენილ დოკუმენტაციას ნიმუში არ ახლდა, რადგან ეს არის სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების დოკუმენტაციის ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეფასების წესი დაწესებულებამ წარუდგინა ექსპერტებს და ბოლო ცვლილებებიც ასახულია წესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის" „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯს "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭიღლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის MES 7 25 0000854297 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 16 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი).. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
ექსპერტის განცხადებით,პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში და ასევე პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

- A სასწავლო გარემო (№312) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით.
- AC სასწავლო გარემო (№302- საკონსტრუქტორო, №314-საგამომჭრელო, №311-სამხატვრო) - თითოეული მათგანი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით და სხვა პროგრამით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით.
- C სასწავლო გარემო (№313 -სახელოსნო) - აუდიტორია გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა შესაბამისი რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობითა და რესურსით.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პრაქტიკის ობიექტთან: ი/მ სალომე კობახიძე და შპს „ფაბრიკ არტი“. ხელშეკრულების დანართად წარმოდგენილია ობიექტებს მიერ იმ მატერიალური რესურსების ფლობა, რომელიც საჭიროა ხელშეკრულებით განსაზღვრული ნაკისრი ვალდებულებით სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული რესურსების ფლობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერებითაც. შესაბამისად დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 3 პროფესიული მოდულებისთვის, 7 ზოგადი მოდულებისთვის, 1 ქართული ენის მოდულისათვის. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება მასწავლებელთა დატვირთვის სქემით უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ შეძლებდა კოლეჯი თბილისში არსებულ პარტნიორ ორგანიზაციაში პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტები თვითონ გადაიხდიან ტრანსპორტირების თანხას, ზოგადად, კოლეჯი ისეთ რეგიონშია, რომ ტრანსპორტი ზოგადად პრობლემაა, არარეგულარულია ტრანსპორტის მოძრაობა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, არის თუ არა საკმარისი ადამიანური რესურსი აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად და იყო თუ არა ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტის დროს.

ექსპერტმა განმარტა, რომ დატვირთვის მხრივ შრომის კოდექსის დარღვევა არ შეინიშნებოდა, თუმცა განმახორციელებელთა დიდი დატვირთვა სახეზეა, სამივე განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის განხორციელება, დარგობრივი მოდულები განაწილებული აქვთ.

დარგის ექსპერტის განმარტებით, სამივე პედაგოგს აქვს კომპეტენცია ყველა დარგობრივი მოდული განახორციელოს, მართალია, დატვირთვა დიდი აქვთ, მაგრამ სწავლის შედეგების მიღწევას საშიშროება არ ემუქრება.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რა მიზნით უნდა ჩაატარონ შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდას მაშინ, როდესაც სავალდებულო არ არის.

ექსპერტმა განმარტა, რომ მთავრობის დადგენილებით გადავადდა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება, ჩანაწერი პროგრამაში შეიძლება მექანიკურად დარჩა, მით უმეტეს, რომ შიდა რეგულაციაში არ არის გათვალისწინებული შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „ადმინისტრაციული სერვისები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ

უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“

ექსპერტის განცხადებით,ადმინისტრაციული სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი 21-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად აწსუ-ში მე - 18 კორპუსის მესამე სართულზე გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორიები A/B და B სასწავლო გარემოსთვის, აუდიტორიებში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილები (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი), რომელიც განკუთვნილია პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ ერთ მიღებაზე 20 (ჯამში 40) პროფესიული სტუდენტზე. A /B სასწავლო გარემო აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, მახათი, სადგისი ა.შ., B სასწავლო გარემოში ისწავლება მოდული: „ნორმატიული აქტების გამოყენება და საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება“, რისთვისაც საჭიროა პერსონალური კომპიუტერი 1 გბ ოპერატიული მეხსიერებით (არა ნაკლებ 160 გბ.), ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ B სასწავლო გარემოში განთავსებულია შესაბამისი მეხსიერების 20 კომპიუტერი. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „აფხაზინტერკონტი“. ა(ა)იპ „აფხაზინტერკონტში“ გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისების“ და მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელება. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. წინამდებარე მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მისი მიზანია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული სტუდენტების დახმარება პროფესიული უნარების განვითარებაში; რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული აქტივობების გავლას საზოგადოებაში შესაბამის პოზიციებზე; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობასა და მომავალი საკადრო რეზერვის შექმნას. ასევე, პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები“ განახორციელოს აწსუ-ს კანცელარიაში. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამურად 40 პროფესიული სტუდენტი, ერთ მიღებაზე -20 პროფესიული სტუდენტი). პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების

სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები 15 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (მათ შორის 1 ახორციელებს პროფესიულ მოდულსაც), ხოლო 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. მოდულების ათვისება და შედეგების დადასტურება პროგრამის სასწავლო გეგმით ისეა გაწერილი, რომ ერთი პროფესიული მოდულის დასრულებამდე მომდევნო მოდულის დაწყება არ იგეგმება, რაც პროგრამის მდგრადად განხორციელების კარგი პირობაა. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, მემორანდუმით, რომელიც ითვალისწინებს დასაქმების ხელშეწყობასაც, ექსპერტებს ხომ არ შეუსწავლიათ წინამორბედი პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადად ყველა პროგრამის ფარგლებში არსებობს მემორანდუმები, სადაც დასაქმების ხელშეწყობის საკითხები ასახულია.

დარგის ექსპერტმაც დაამატა, რომ 2 დაწესებულებაში გადიან პრაქტიკას სტუდენტები, საწარმოო პრაქტიკის მოდულის შედეგები გაყოფილია და მონაცვლეობით გადის 10-10 სტუდენტი პრაქტიკას ორ ობიექტში. შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა, რომ არცერთი პროგრამისთვის არ იყო საჭირო განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე არცერთი პროგრამა არ საჭიროებდა განმავითარებელ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარის შემდეგი კითხვა ეხებოდა ბაზრის კვლევის საკითხებს, რა მექანიზმებით მოხდება რეალურად ამ საკითხის შემოწმება და როგორ დაუკავშირდება ხარისხის მექანიზმების სტანდარტთან შესაბამისობას, დაინტერესდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში განხორციელებული პროცესების 2.4. კომპონენტის ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ჯგუფმა რა დოკუმენტებიც შეისწავლა იმის მიხედვით, ნათლად გამოჩნდა რომ დაწესებულება აკეთებს ბაზრის კვლევას, აქვთ შემუშავებული მექანიზმი ამ მიმართულებით, რომლის მიხედვითაც ხდება იმის განსაზღვრა, თუ რამდენადაა მოთხოვნა ამა თუ იმ სპეციალობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ადმინისტრაციული სერვისები" **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „ბაღის დიზაინი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბაღის დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ ხორციელდება ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. აწსუ-ში მე-18 კორპუსის მეორე სართულზე, პროფესიული პროგრამისათვის „ბაღის დიზაინი“, გამოყოფილია კეთილმოწყობილი, ნათელი A და B სასწავლო სივრცეები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით, სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო და ასლგადამღები ტექნიკით, საპროექციო ეკრანით, დაფით და მარკერებით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი-მედეასთან“. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს: - ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ბაღის დიზაინი“ სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში საწარმოს დათვალიერებას; მოდულების: „ბაღის მხატვრული ელემენტების დაგეგმარება“, „ბაღის საინჟინრო ელემენტების დაგეგმარება“ , წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარება“, „დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება“ სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში საწარმოს დათვალიერება. მოდულის „დეკორატიული მცენარეები (მე-2 სწავლის შედეგი) და აგროკულტურები (მე-4

სწავლის შედეგი) სწავლის შედეგის დასადასტურებლად უზრუნველყოფს საჭირო სივრცით და საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით; ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოდეულ(ებ)ის/შედეგ(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი დასაქმების საკითხის განხილვა/ხელშეწყობა. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ „ბაღის დიზაინი“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, თითოეული ნაკადი 15 სტუდენტი) გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაღის დიზაინი“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები სულ 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მოდულების მიხედვით დაწესებულებას ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“, ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A, B და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში არსებულ მონაცემთა ბაზებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ. ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს

(ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ბაღის დიზაინი" **(დანართი 4).**

მეხუთე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ტყავის ნაკეთობათა წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის MES 5 25 0000693249 ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ ხორციელდება ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 - ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. აწსუ-ში VII კორპუსის მეორე სართულზე, პროფესიული პროგრამისათვის „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, გამოყოფილია კეთილმოწყობილი, ნათელი A და B სასწავლო სივრცეები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით, სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო და ასლგადამღები ტექნიკით, საპროექციო ეკრანით, დაფით და მარკერებით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. ასეთივე პირობებია შექმნილი პროფესიული სტუდენტებისათვის C გარემოში, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მანქანა-მოწყობილობებით და სპეცაღჭურვილობით, ერთ მიღებაზე 10 (ჯამში 20) პროფესიული სტუდენტზე. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ლევანტო“-სთან. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს: ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში საწარმოს დათვალიერებას; მოდულების: „საწარმოო პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ (მე-2 შედეგი) სწავლის შედეგის დასადასტურებლად უზრუნველყოფს საჭირო სივრცით და საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით; ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების მოდეულ(ებ)ის/შედეგ(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი დასაქმების ხელშეწყობას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (20 პროფესიული სტუდენტი, თითოეული ნაკადი 10 სტუდენტი) გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები სულ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (მათ შორის 2 ახორციელებს პროფესიულ მოდულსაც), ხოლო 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მოდულების მიხედვით დაწესებულებას ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება., მათი დატვირთვა კი, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ

სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“, ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A, B და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში არსებულ მონაცემთა ბაზებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ. ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილია მყარ დისკზე, ასევე - ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა რომელი სწავლის შედეგია გატანილი პრაქტიკის ობიექტზე.

დეტალური განმარტება გააკეთა დარგის ექსპერტმა, აქვე დაამატა, რომ ამ საკითხზე დეტალური საუბარი ჰქონდა განმახორციელებელთან და პარტნიორ კომპანიასთან.

საბჭოს წევრი, ხათუნა ჩხარტიშვილი დაინტერესდა, რამდენად ექნებათ სტუდენტებს შესაძლებლობა, რომ ინდივიდუალურად დაფარონ საწარმოო პრაქტიკაზე სწავლის შედეგები.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ეს საკითხი დეტალურად იქნა გამოკვლეული კომპანიაში ადგილზე ვიზიტით და არანაირი ეჭვი არ გაჩენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული პროექტის მეორე სწავლის შედეგის გატანის მიზანი ის იყო, რომ სტუდენტს შეძლებოდა თავისი ესკიზით შეექმნა ნამუშევარი საწარმოში და რეალურ გარემოში ინდივიდუალურად შესრულებული ნამუშევარი წარმოედგინა უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "ტყავის ნაკეთობათა წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ტყავის ნაკეთობათა წარმოება" **(დანართი 5).**

მეექვსე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის MES 9 25 0000693252 ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხორციელდება ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი 21-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად აწსუ-ში მე-18 კორპუსის პირველ სართულზე გამოყოფილია A/C და C გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი. A/C და C სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ერთ მიღებაზე 10 (ჯამში 20 პროფესიული სტუდენტზე). აწსუ-ში პროფესიული პროგრამისათვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ XVIII კორპუსის პირველ სართულზე გამოყოფილია კეთილმოწყობილი, ნათელი A/C და C სასწავლო სივრცეები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით, სკამებით, პერსონალური კომპიუტერით, საპრეზენტაციო და ასლგადამღები ტექნიკით, საპროექციო ეკრანით, დაფით და მარკერებით. C სასწავლო გარემო აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, უნივერსალური და სპეციალური სამკერვალო მანქანებით, ნახევრადავტომატური და ავტომატური მანქანებით. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამში 20 პროფესიული სტუდენტი, ერთ მიღებაზე -10 პროფესიული სტუდენტი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები სულ 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (მათ შორის 1 ქართული ენის განმახორციელებელია), ხოლო 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მოდულების მიხედვით დაწესებულებას ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოდულების ათვისება და შედეგების დადასტურება პროგრამის

სასწავლო გეგმით ისეა გაწერილი, რომ ერთი პროფესიული მოდულის დასრულებამდე მომდევნო მოდულის დაწყება არ იგეგმება, რაც პროგრამის მდგრადად განხორციელების კარგი პირობაა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“, ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A/C და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში არსებულ მონაცემთა ბაზებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ. ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილია მყარ დისკზე, ასევე - ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე. აწსუ-ის მე-18 კორპუსი, რომელშიც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სასწავლო A/C და C სივრცეები აღჭურვილია სსსმ პირებისათვის ლიფტით, ადაპტირებული სველი წერტილებით და ბიბლიოთეკით. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" **(დანართი 6).**

მეშვიდე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "საავტომობილო გზების მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „საავტომობილი გზების მშენებლობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ

უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საავტომობილო გზების მშენებლობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ ხორციელდება ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 -ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. აწსუ-ში VII კორპუსის მეორე სართულზე, პროფესიული პროგრამისათვის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გამოყოფილია კეთილმოწყობილი, ნათელი A და B სასწავლო სივრცეები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით, სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო და ასლგადამღები ტექნიკით, საპროექციო ეკრანით, დაფით და მარკერებით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. ასეთივე პირობებია შექმნილი პროფესიული სტუდენტებისათვის C გარემოში, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მანქანა–მოწყობილობებით და სპეცაღჭურვილობით, ერთ მიღებაზე 15 (ჯამში 30) პროფესიული სტუდენტზე. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს „დაგი+“; შპს „თანამედროვე გზა“; შპს „როსტვერკი“; შპს „საქმილსადენმშენი“. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს: - ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოდულები: „მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის“„საგზაო საფარის მოწყობის“ და „არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია-რეაბილიტაციის“ სწავლის შედეგების დასადასტურებლად უზრუნველყოს საჭირო სივრცით და საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით; ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოდულ(ებ)ის/შედეგ(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი დასაქმების ხელშეწყობას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, თითოეული ნაკადი 15 სტუდენტი) გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები სულ 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მოდულების მიხედვით დაწესებულებას ჰყავს 2-3 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დაწესებულების მიერ შედგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის საფასურისაგან, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: პროფესიული განათლების

მასწავლებლის საათობრივ ანაზღაურებას, ადმინისტრაციის ანაზღაურებას (პროგრამის ფარგლებში), კომუნალურ ხარჯებს, იჯარას, მარკეტინგთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას, პერსონალის განვითარების, საოფისე ადმინისტრაციული და სხვა ხარჯებს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 8 პროფესიული სტუდენტია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით, რენტაბელობის ზღვარი როგორ გამოთვალეს, ხომ არ არის მაღალი. ასევე, რამოდენიმე პროგრამაში ერთიდაიგივე ციფრი რატომ არის.

ექსპერტმა განმარტა, რომ რენტაბელობის ზღვარი მართლაც მაღალი იყო. დაწესებულებამ ადგილზევე ჩაასწორა ყველა პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მასწავლებლის ხელფასი, პროგრამის ხელმძღვანელის ხელფასი, პროგრამის განვითარებისთვის საჭირო თანხები, კომუნალური ხარჯები, ნედლეულ-მასალის შესაძენი ხარჯი, რისკების თავიდან აცილების მიზნით არის რენტაბელობის ზღვარი მაღალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის "საავტომობილო გზების მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საავტომობილო გზების მშენებლობა" **(დანართი 7).**

მერვე საკითხი: „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) მიმდინარე წლის 25 ივლისს დარეგისტრირდა სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის N914388 წერილი, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები. კერძოდ, პროგრამის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 87 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 117 კრედიტი. ასევე, დაწესებულება გვაცნობებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელდება კოოპერაციულ სამუშაო გარემოში. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამებზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებულ პროფესიულ პროგრამაზე, ხოლო მიმდინარე წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, სწავლას დაიწყებენ განახლებულ/მოციფიცირებულ პროგრამაზე. ვშუამდგომლობთ საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით, აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი:
გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 8)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონულად შესრულებულია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	5
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი 21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინიში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი 21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ტყავის ნაკეთობათა წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი. ი. ჭავჭავაძის 21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	საავტომობილო გზების მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საავტომობილო გზების მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120